



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 70

2014 წლის 25 დეკემბერი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურისათვის“ მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 1 წლის ვადით გადასცეს თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურს“ 1997 წელს გამოშვებული ავტომანქანა FORD TRANZIT, რეგისტრაციის ნომერი AM310MA, ღირებულებით 18 000 ლარი (სპეციალური).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი